ოქმი:**ო08. 3725071001**

თარიღი:**12/03/2025**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 11 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.30 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა:დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე,დ. დარჩია, ბ. ქათამაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 17 (ჩვიდმეტი) ერთეული უძრავი ქონების (ს/კ: 26.36.03.066, 26.36.02.159, 26.26.56.333, 26.26.47.335, 26.26.53.191, 26.26.51.313,26.26.55.277, 26.18.11.431, 26.18.12.323, 26.18.15.312, 26.18.17.125, 26.12.14.227, 26.05.24.568, 26.05.22.315, 26.01.84.427, 26.08.06.288, 26.08.01.340) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხზე, ვრცლად კი ისაუბრა, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს უძრავი ქონებებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საერთაშორისო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომლებიც ჯერ კიდევ მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ სახელმწიფოს, კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა-შემოქმედი-გომის გზასთან დაკავშირებით, განუმარტეს, რომ იგიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და უნდა გადაეცეს სახელმწიფოს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი